ხაშურის მოამბე

№18(391) 25 მაისი, ხუთშაბათი, 2023 წელი

გილოცავთ, ჩემო თანამემამულენო!

26 მაისი საქართველოსთვის ისტორიული მნიშვნელობის დღეა - საქართველოს ეროვნული დღესასწაული, დამოუკიდებლობის დღე, რომელიც სათავეს 1918 წლიდან, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნიდან, იღებს.

გილოცავთ, ჩემო თანამემამულენო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, გილოცავთ მათ ვისთვისაც ძვირფასია საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

26 მაისი თავისუფლების იდეალის გამართლებაა

ძვირფასო თანამოქალაქენო, გილოცავთ ჩვენს უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულს - საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს! 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება თავისუფლების იმ იდეალის გამარჯვებაა,რომელიც მუდამ განსაზღვრავდა ჩვენს ისტორიას. და თუმცა პირველი რესპუბლიკა ხანმოკლე აღმოჩნდა, არ განელებულა ქართველთა ბრძოლა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის, რაც 1991 წელს სახელმწიფოებრიობის საბოლოოდ აღდგენით დაგვირგვინდა. დღეს ქედს ვიხრით მათი ნათელი ხსოვნის წინაშე, ვინც სიცოცხლე შესწირა ამ დიადი მიზნის მიღწევას. ქართველი ხალხის თავისუფალ სულისკვეთებას და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას საუკეთესოდ ეხმიანება ჩვენის მუნიციპალიტეტში - სოფელ აძვისში საფლავის ქვაზე გამოკვეთილი სიტყვები: „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ! შენი ნატვრა აღსრულდა, საქართველო გათავისუფლდა!“ სწორედ თავისუფლება გვაძლევს ძალას, გავაგრძელოთ ისტორიული გზა, გავაღრმავოთ განვითარება და ცოდნაზე დაფუძნებული, ჩვენი წარსულისა და კულტურის საკადრისი სახელმწიფოს მშენებლობა. გილოცავთ! ეს დღე ჩვენია!

თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

ყველაზე დიდ, ყველაზე ფასეულის - თავისუფლების და დამოუკიდებლობის დღეს გილოცავთ!

ყველაზე დიდი, ყველაზე ფასეული - თავისუფლების დღე მინდა მოგილოცოთ! 1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, სამი წლის განმავლობაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული სახელმწიფოებრიობის ხანა, სისხლის გარეშე არ დათმო ერმა ეს ძვირფასი მონაპოვარი.

პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნების პერიოდში, რომელმაც დროსაც კი გაუსწრო, არაერთი ეროვნული იდეა გაჟღერდა, მათ შორის მიღებული იქნა საქართველოს კონსტიტუცია, შეიკრიბა პირველი პარლამენტი, გვყავდა პირველი პარლამენტარი ქალბატონები და ეს იყო ევროპაში უპრეცედენტო ფაქტი. საქართველო, როგორც ევროპული ცივილიზაციის ნაწილი, ყოველთვის მიისწრაფოდა და მიისწრაფვის ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრობისკენ.

დღეს, ისე როგორც არასდროს ქვეყანის განვითარებას ჭირდება სტერეოტიპებისგან, მორჩილებისგან თავისუფალი აზრი. ისტორიულად და გლობალურად, მშვიდობას უპირობოდ უჭირავს პირველი და საპატიო ადგილი.

გისურვებთ ქვეყანაში, ოჯახებში, თითოეული ადამიანის გონებაში ყოფილიყოს სიმშვიდე, სწრაფვა უკეთესი მომავლისკენ - ქართული ღირებულებების დაცვითა და ღირსებით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისკენ!

ნინო ლიპარტელიანი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

შიდა ქართლის რწმუნებულის ადმინისტრაციაში საძოვრების მდგრადი მართვის კონცეფციის დოკუმენტი განიხილეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, „საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის დოკუმენტი“ შეიმუშავა. დოკუმენტის საფუძველზე, საძოვრებით მდგრადი სარგებლობისა და მათი დაცვის ერთიანი, თანმიმდევრული მიდგომები უნდა ჩამოყალიბდეს.

კონცეფციის დოკუმენტი შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი მიშელაძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რწმუნებულის ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (REC Caucasus) წარმომადგენლებმა გორში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, მოხდება საძოვრის სტატუსების კანონით განსაზღვრა; ასევე, სახელმწიფოსა და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული საძოვრებით სარგებლობის რეჟიმების შემოღება, რაც გულისხმობს როგორც საერთო სარგებლობას, ასევე იჯარას.

კონცეფციის თანახმად, მართვის მუნიციპალური გეგმების მიხედვით მოხდება საძოვრების იდენტიფიცირება, კლასიფიკაცია, ზონირება და სარგებლობის რეჟიმების დადგენა. საძოვრების საერთო სარგებლობის სისტემა დაინერგება სასოფლო დასახლებების ახლომდებარე საძოვრებზე. შეიქმნება მოსარგებლეთა გაერთიანებები და მათ სარგებლობაში გადაეცემათ სოფლის საძოვრები. დანარჩენი საძოვრების გამოყენება შესაძლებელი იქნება იჯარით. პოლიტიკის დოკუმენტი საფუძვლად დაედება საძოვრების მართვის საკანონმდებლო პაკეტის მომზადებას.

„საძოვრების მდგრადი მართვის ეროვნული პოლიტიკის კონცეფციის“ დოკუმენტი შემუშავდა პროექტის „მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის

(LDN) ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ უწყებათშორის სამუშაო ჯგუფთან კოორდინაციით, ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მიერ. პროექტის მხარდამჭერია გლობალური გარემოს დაცვის ფონდი (GEF).

სტუმრად - პარლამენტში

ხაშურის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ფასილიტატორობით რეგიონული ფორუმი მოეწყო.

ფორუმის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს შიდა ქართლის რეგიონის ახალგაზრდების მობილიზებისა და აქტიური ჩართვის მნიშვნელობა ადგილობრივი თემის საჭიროებების გადაწყვეტაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები , ფორუმში ჩართული ახალგაზრდების მიერ დაიწერა პროექტი „E.R.D ევროკავშირი სწორი მიმართულებაა“ რომლის მიზანიცაა ევროსტრუქტურების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში გაწერილ არაერთ აქტივობას შორის ერთ-ერთი გულისხმობს საქართველოს პარლამენტის, როგორც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მსაზღვრელი ხელისუფლების შტოს ფუნქციის გააზრებას ევროპასთან ინტეგრაციის გზაზე და აქტივობის ფარგლებში, პროექტის გუნდი 2023 წლის 15 მაისს სტუმრად ეწვია პარლამენტის სასახლეს.

ფორუმის გუნდს უმასპინძა საქართველოს პარლამენტის წევრმა, პარლამენტის მუდმივმოქმედი გენდერული საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ბაია კვიციანმა, რომელმაც პარლამენტის ფუნქციაზე და გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე საინტერესო დისკუსია წარმართა.

საბჭოს წევრმა ბაია კვიციანმა მოსწავლეებს გააცნო ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული ვითარება. შეხვედრის დასასრულს, ინტერაქციული აქტივობების გამარჯვებული 3 მოსწავლეც დაჯილდოვა და სიმბოლური პრიზები გადასცა.

საინფორმაციო შეხვედრა ევროკავშირი - საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე

დღეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებისთვის ,,ევროპის დღე - 2023 '' -ის ფარგლებში, ევროკავშირი - -საქართველოს თანამშრომლობის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ევროკავშირის საკითხებში - სოფო მიდელაშვილი. გაიმართა საინტერესო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელძღვანელი ზვიად გოგუაძე და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები. შეხვედრა საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ ,,საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ '' და ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ალში, ტაძრამდე მისასვლელი გზის მოასფალტება დასრულებულია

ბრილში კი გზის მშენებლობის პროექტი დასასრულს უახლოვდება.

,,პროექტები ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა. სოფლებში მოეწყო ასფალტის საფარი, სანიაღვრე არხები, გაკეთდა საგზაო მონიშვნები. მოწესრიგებული საგზაო ინფრასტრუქტურა ადგილობრივების საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. სოფლის გზების მოწყობის სამუშაოები, სხვა პროექტების პარალელურად, კვლავაც აქტიურად გაგრძელდება''-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერის მოადგილე ზვიად ქურდაძისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის გიორგი პაპიაშვილის განმარტებით, სოფელ ალის გზის პროექტი, მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ღირებულებამ 554 662 ლარი შეადგინა.

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18)

ბოლო დროს ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის საკითხს შეეხო დ. მერკვილაძე. იგი მათ მოსვლას 533-537 წლებში ვარაუდობს და შიო მღვიმის არქიმანდრიტის დოსითეოზის საბუთზე დაყრდნობით, თარიღის დაკონკრეტებასაც იძლევა - 535 წელი.

ვფიქრობთ, ასურელ მამათა ქართლში შემოსვლის სწორი ქრონოლოგია ჯუანშერთან და ვახუშტისთან უნდა ვეძიოთ. ორივე ავტორი მიიჩნევს, რომ ისინი ქართლში ფარსმან მეექვსის მეფობის პერიოდში - 542 – 557 წლებში, მოვიდნენ. ჯუანშერიც და ვახუშტიც უფრო ახლოს დგანან ისტორიულ ფაქტთან და ამდენად ანგარიშგასაწევი და მისაღები უნდა იყოს მათი ქრონოლოგია. მეორეც, ძველ ქართულ წყაროებს, რომლებსაც ისტორიკოსები ეყრდნობიან, არ გამორჩებოდათ ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის დრო.

აზრთა სხვადასხვაობაა ასურელ მამათა ეროვნულ კუთვნილებასა და წარმომავლობაზე. XIX საუკუნეში გაჩნდა მოსაზრება სირიელი მამების ქართული წარმომავლობის შესახებ. კერძოდ, დ. ჩუბინაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სირიელი მამები კაბადოკიელი ქართველები იყვნენ. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ მ. ჯანაშვილი, კ. ცინცაძე, კ. საძაგლიშვილი, ი. გოგებაშვილი და სხვები. ქართველ მონოფიზიტებად მიიჩნევდა სირიელ მამებს კ. კეკელიძე, ს. კაკაბაძე კი მხოლოდ ზოგიერთი მათგანის ქართველობას ვარაუდობდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აზრთა სხვადასხვაობაა ასურელ მამათა დედაენის შესახებ. მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ სირიელ მამათა სამეტყველო ენა ქართულია. ამ შემთხვევაში, მათი მთავარი არგუმენტია ის ფაქტი, რომ იოანე ზედაზნელი ქართლში შემოსვლისთანავე ქართულად ლაპარაკობს.

სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი შ. მათითაშვილი, როცა წერს: „ქართულ ისტორიოგრაფიაში, სირიელ მამებთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხთა შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა სახელგანთქმულ მოღვაწეთა სადაურობა. წყაროებიდან ვგებულობთ, რომ შუა საუკუნეების ქართველებისთვის მათი სადაურობა საეჭვო და საკამათო არ იყო. ქართლში შემოსული მამები სირიელები, სემიტური ქრისტიანული სამყაროს შვილები იყვნენ. სწორედ ამიტომ დაარქვეს ძველმა ქართველებმა მათ „ასურელი მამები“. მათი ქართული წარმომავლობა ქართველ მემატიანეს არავითარ შემთხვევაში არ გამორჩებოდათ, რადგანაც ქართული წყაროები ძალიან ხშირად (თითქმის ყოველთვის) და ძალიან ზუსტად გადმოგვცემენ ცნობებს ამა თუ იმ მოღვაწის სადაურობის შესახებ, მით უმეტეს არ გამორჩებოდათ ასეთი მასშტაბის ასკეტების, ქართული ბერმონაზვნობისა და კულტურის კერების დამაარსებელთა ქართველობა, მაგრამ ქართული წყაროები მუდმივად ხაზს უსვამენ მათ ეთნიკურ კუთვნილებას სემიტური, სირიული სამყაროსადმი და ჩვენ არავითარი უფლება არ გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ ამ ცნობათა სიზუსტეში“. აღნიშნულიდან გამომდინარე ასურელ მამათა დედაენაც სირიულია. იოანეს ქართულად დალაპარაკება ევლავიოზთან არ უნდა ნიშნავდეს, რომ მათი დედაენა ქართულია.

უკანასკნელ პერიოდში, მნიშვნელოვნად შეიცვალა შეხედულებები სირიელ მამათა როგორც ქართული წარმომავლობის, ისე მათი დედაენის შესახებ.

1990 წელს, სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში, ხელნაწერთა ინსტიტუტის ექსპედიციის დროს, აღმოჩენილი იქნა კრებული. კრებულს მიენიჭა ლიტერი №/სინ-50. მასში გაერთიანებულია ქართული მწერლობის ძეგლები - „მოქცევაი ქართლისაი“ და „ასურელ მამათა ცხოვრების“ წიგნები. სპეციალისტებმა პალეოგრაფიისა და მასში მოცემული რეალიების გათვალისწინებით ხელნაწერი X ს-ის დასაწყისით დაათარიღეს.

ხელნაწერში შეტანილია „იოანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა საქმენი“. იგი რედაქციულად მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენამდე მოღწეულ თხზულებებისგან და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ასურელი მამების ეროვნული კუთვნილებასა და მათი დედაენაზე. ამ საკითხს ყურადღება მიაქცია პროფ. ზაზა ალექსიძემ.

ასურელ მამათა ეროვნულ კუთვნილებასთან დაკავშირებით, ზ. ალექსიძე მიუთითებს: „ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ასურელ მამათა ქართველობის მტკიცება, იყო წყაროებში მათი მშობლების შესახებ ცნობების არარსებობა. №/სინ-50 - მა ეს სიძნელე მოხსნა, ყოველ შემთხვევაში იოანე ზედაზნელისა და მისი ორი მოწაფის მიმართ მაინც“.

იოანე ზედაზნელის შესახებ ხელნაწერში ნათქვამია: „ესე ნეტარი იოვანე იყო ნათესავით ასური, ქუეყანით შოვა მდინარით, რომელ არს ასურეთისაი“. ზ. ალექსიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ეს არის ერთადერთი ცნობა, ამასთანავე დადასტურებული უძველეს წყაროში, რომ იოანე ზედაზნელი იყო „ნათესავით“ (ეროვნებით) ასური (სირიელი). სხვა რედაქციებში გვქონდა მხოლოდ ცნობა მისი ტერიტორიულად შუამდინარეთის ასურეთიდან წარმომავლობის შესახებ“.

ხელნაწერის მიხედვით, ეროვნული კუთვნილება დასტურდება ეზდეროზ სამთავნელისა და თევდოსიოსის შესახებ. ამასთან დაკავშირებით, თხზულებაში ნათქვამია: „ამათნი საკუირველნი საქმენი, რომელ უქმნიან, დიდი წიგნი არს, თუ სადა გაზრდილ არიან და ვითარ დგომილ არიან იოვანეის და რაი ვის თავად-თავად სასწაულნი უქმნიან. ჩუენ ესთენ ვპოვეთ მრეხელისაი და სამთავნელ ჭალაკელისაი: ნაბუქელი იყო წინაშე ხატისა მაცხოვრისასა მდგომელი, შვილი მესაკუმევლისაი, და შეეძრახა ურჰას შინა იოვანეს და გამოჰყვა. და ესე თევდოსიოს მრეხელი მთავარი იყო ურჰაელ, ძე ბჭისაი და სამართლის-მყოფელისაი გლახაკთაისაი, და კურთხეულ იყო დეაკონად და მონაზონად ხატსა წინაშე ქრისტესსა, და უცხოებისათვის წარმოჰყვა იოვანეს“

მაშასადამე, ეზდერიოზი და თევდოსიოსი სირიელები არიან. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ავტორი მიგვითითებს ასურელ მამათა წარმომავლობის შესახებ დიდი წიგნის არსებობაზე, თუმცა ეს წიგნი მას ხელთ არ ჰქონია და წარმომავლობის შესახებ ცნობები მხოლოდ ეზდერიოზზე და თევდოსიოსის შესახებ მოუპოვებია.

ევდერიოზი წარმომავლობით ნაბუქელი, ანუ ჰიერაპოლისელი (სირიულად მაბბუგ), ჰიერაპოლისის კერამიონის (კეცის ხატის) წინაშე მდგომელი და მისი მესაკმევლის შვილი ყოფილა. თევდოსიოსი კი ურჰაელი (ედისელი) მთავარი, ძე გლახაკთა ქომაგი მოსამართლისა, შემდგომში ედესის ხატის (მანდილიონის) წინაშემდგომელი მონაზონი და დიაკვანი.

ამრიგად, დაასკვნის ზ. ალექსიძე, სამთავნელიცა და მრეხელიც თავიანთი მშობლებით და სოციალური მდგომარეობით დაკავშირებული არიან სირიასთან და ლაპარაკი მათი შუამდინარეთში საქართველოდან განსწავლის მიზნით წასვლის შესახებ შეუძლებელია.

ზ. ალექსიძე წერს: „№/სინ-50 - ში პირდაპირ არის ნათქვამი (ასეთ ცნობას ასურელ მამათა „ცხოვრებების“ სხვა რედაქციებშიც ვნახულობთ), რომ იოანე ზედაზნელის მოწაფეებისთვის, თევდოსიოსისთვის მაინც, ქართლი „უცხო“ ქვეყანაა და სწორედ ამის გამო წამოყვა იგი აქ იოანე ზედაზნელს. საქმე ის არის, რომ თევდოსიოსი წარჩინებული ჩამომავლობისა იყო და, როგორც „ცხოვრების“ ავტორი ამბობს, „უცხოებისათვის წამოჰყვა იოვანეს“. ასკეტური ცხოვრება მონაზონისგან ითხოვს, რომ მას ამშვენებდეს „სამი ესე: უცხოებაი, სიგლახაკე და დუმილი მოთმინებით“. თევდოსიოსიც გადაწყვეტს წავიდეს „უცხო“ (სხვა) ქვეყანაში, რათა მოწყდეს თავისი ჩვეული გარემოს ცდუნებებს. ამრიგად, თევდოსიოს მრეხელი სამშობლოში კი არ ბრუნდება, არამედ პირიქით, სამშობლოს ტოვებს და მიდის უცხო ქვეყანაში, რათა თავისი მოწოდება უკეთ აღასრულოს“.

ხელნაწერში ეზდერიოზ სამთავნელისა და თევდოსიოს მრეხელის ეთნიკურად სირიელობასა და მათ სალაპარაკო ენაზე უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება, როდესაც ისინი ქართლში მოვიდნენ: „და რაჟამს დასხდეს ესენი აქა (სამთავისის ჭალკსა და რეხის ქვაბში) და აღაშენეს საყოფელად ეკლესიანი, განიძრახეს, რაითამცა ხატისა მის წილ მაცხოვრისა ხატები გამოწერეს სასურველად. და თევდოსიოს შემზადა კედელი, ხოლო ეზდერიოზ შექმნა ფიცარი. და მოივლინა კაცი ვინმე მოგზაური ჭალაკით ვანად ეზდერიოზისა და მიზეზ-ყო ლომისა დევნაი. დააყენა ბერმა და ჰკითხა, თუ ვინაით მოხუალ. ხოლო მან ჰრქუა, ხატისა წერაი ვიცი. და ვითარცა ესმა ესე, წარვიდა ბერი რეხდ, რაითა მოიყვანოს თევდოსიოს. და ვითარცა მიიწივნეს, იხილეს ხატი ღმრთაებისაი ქუე-მდგომარე, საშინელად ბრწყინვალე. და წერილი იყო ფერხთა თანა ასურებრითა წერილითა: ვის ეგე ჰხედავთ, მან მომავლინა“.

ამასთან დაკავშირებით, ზ. ალექსიძე ასკვნის, რომ „...რეხაში აშენებულ ეკლესიაში ხელთუქმნელ ხატს ქვეშ წარწერა გაკეთებული ჰქონდა ასურული (სირიული) დამწერლობით და სირიულ ენაზე, ვისაც ამ ხატზე ხედავთ გამოსახულს, მან გამომგზავნაო. ცხადია, ასურულ დამწერლობაზე მითითება შემთხვევით არ არის გაკეთებული და ტექსტის ავტორი გულისხმობს, რომ სირიიდან სულ ახლად ჩამოსულ მამებს სწორედ ამ ენაზე შეეძლოთ წარწერის წაკითხვა“.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ასურელი მამების ქართული წარმომავლობის მომხრეთა მთავარი არგუმენტია ის, რომ იოანე ზედაზნელმა, მისი ცხოვრების თანახმად, ქართლში მოსვლისთანავე იწყო ქართულ ენაზე ლაპარაკი. ზ. ალექსიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ „ასეთი ცნობა სრულიად არაფრის მაჩვენებელი არ არის“, თუნდაც იმიტომ, რომ იოანე ზედაზნელი დათვსაც ელაპარაკებოდა მისთვის გასაგებ ენაზე, მაგრამ მთავარი აქ ის არის, რომ ასეთი ცნობა №/შინ-50 - ში არ არის, რომელიც ასურელ მამათა ცხოვრების ყველა რედაქციაზე და ხელნაწერზე ადრინდელია. ხელნაწერი X ს - ის I ნახევრისაა, ხოლო წყარო, რომელზეც მისი ავტორი უთითებს, IX ს - ის შუა ხანებზე ადრინდელია.

მიქაელ ულუმბოელი
(ფრესკა ანანურის ეკლესიიდან)

ხელნაწერიდან კარგად ჩანს, რომ არა მარტო იოანე და მისი მშობლები ცხოვრობდნენ შუამდინარეთის უდაბნოში, არამედ მისი შორეული წინაპრებიც. იოანეს უდაბნოში ცხოვრების წესი გენეტიკურად აქვს შეთვისებული. როდესაც იგი ზედაზენზე მოვიდა, „შენებაი არა ინება, არამედ ჩუეულ ვითარცა არს ჩუელებაი უდაბნოის მყოფთაი კლდეთა ქუეშე და ხურელთა იწროებითა იყოფდა“.

უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დაზუსტება გვიანდელ რედაქციებში არ გვხდება. ზ. ალექსიძე მიუთითებს: „მათ (რედაქციის ავტორებს - თ.ლ.) ან აღარ ესმით, რატომ უსვამს ხაზს მათი წინამორბედი რედაქცია იოანე ზედაზნელის წინაპართა ჩვეულებას, ან ესმით და აღარ უნდათ მისი გამეორება“.

ამასთან დაკავშირებით რედაქციაში (ი. აბულაძის გამოცემა) ნათქვამია: „ხოლო შენებ არა ნება მას ადგილსა, არამედ, ვითარცა არს წესი მარტოდ მყოფობისა, იყოფვოდა; ნაპრალსა მას კლდისასა ეპოვნა ქუაბი მცირე, რომლისა შინა აღასრულა სარწმუნო სა ამას ცხოვრებასა“.

რედაქციაში (იგივე გამოცემა) ვკითხულობთ: „ხოლო შენება ადგილისა მის არა ინება, არამედ მარტოდ მყოფობა აღირჩია, რამეთუ პოვა მან ქუაბი რა მე მცირე და მუნ შინა აღასრულა მწირობა მისი“.

აღნიშნულზე დაყრდნობით, ზ. ალექსიძე დაასკვნის: „ვფიქრობ, ნათელია, რომ „იოანე ზედაზნელის საქმეთა“ უძველესი რედაქციის მიხედვით, ასურელი მამები წარმოშობით (მშობლებისა და წინაპრების ჩათვლით) არიან სირიიდან, ხოლო იოანე ზედაზნელი ეთნიკურადაც სირიელია. მათი სამეტყველო ენა ქართლში მოსვლისას იყო სირიული“.

ასურელ მამებს სწრაფად უნდა შეესწავლათ ქართული ენა. გარდა იმისა, რომ ღვთისმსახურება ქართლში ქართულ ენაზე აღესრულებოდა, მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიური ურთიერთობა აუცილებელს ხდიდა ამ ენის ცოდნას. ამავე დროს, ასურელ მამების გვერდით უნდა მდგარიყვნენ მათი ქართველი მოწაფეები და მიმდევარნი, რაც ასევე აუცილებელ საჭიროებას ხდიდა ადგილობრივი ენის ცოდნას.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

გასული წლის ბოლოს, იაკობ გოგებაშვილი სახელობის პედაგოგთა კავშირმა, საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგებისათვის, გამოაცხადა კონკურსი სახელწოდებით „მივიწყებული სახელები“. კონკურსის მიზანი იყო გამოვლენილიყო ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (მოთხრობა, ნოველა, ესე, ლექსი), რომელშიც წარმოჩინდებოდნენ საკუთარი სოფლის თუ ქალაქის გამორჩეული ადამიანები, რომლებმაც განსაკუთრებული ღვაწლი გასწიეს თავიანთი კუთხის აღმშენებლობით საქმიანობაში. ახლახანს, შეჯამდა კონკურსის შედეგები, სადაც ნომინაციაში „საუკეთესო თხზულება“ გამარჯვებული გახდა სურამის მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგი ნათელა გოგოლაძე. ვულოცავთ ქალბატონ ნათელას ამ წარმატებას და დღეს მკითხველს გამარჯვებულ თხზულებას ვთავაზობთ, რომელიც მართლაც დიდ მამულიშვილს მიხეილ მურვანიშვილს ეძღვნება.

ერისკაცი, რომელმაც სიცოცხლე სამშობლოს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაში გალია

დიდი მიხეილი



არიან ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლე ერთ მიზანს ემსახურებიან-სამშობლოს კეთილდღეობას. ეს მიზანი, თითქოს, უზენაესის მიერ მათში ჩადებული კოდირებული გენია და იმდენად მძაფრია, რომ სხვა თემებზე ფიქრიც კი მხოლოდ ამ მიზნის მთლიანი სხეულის შემადგენელი ნაწილაკია. ეს ადამიანები შრომაში გალეულ ფუტკრებს ჰგავნან, დარდისათვის დროც რომ არ რჩებათ და თუ მაინც დარდის წამიც ეწვია, ეს წამიც სამშობლოს უკავშირდება. ბედნიერებაა, რომ ჩვენნაირი პატარა ერის წიაღში, მისი ისტორიის მანძილზე, ათეულობით და ასეულობითაც კი არიან ასეთი ერისკაცები-ჭეშმარიტი მამულიშვილები და ნამდვილი პატრიოტები. არცერთი საუკუნე არ ყოფილა ასეთი ერისკაცების გარეშე, არცერთი საუკუნე არ ყოფილა, რომლის დროსაც თუნდაც ერთი ასეთი მამულიშვილი არ მოევლინებოდა ქვეყანას, რომელიც შემდეგ მაგალითი ხდებოდა მთელი ერისათვის. საბედნიეროდ, არც მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეები ყოფილა გამონაკლისი. გამოანკლისი კი არა, ამ ეპოქამ ისეთი ერისკაცები შვა, მანათობელ ვარსკვლავად რომ იქცნენ ერის ხვალინდელი დღისაკენ მიმავალ გზაზე. სწორედ ამ მამულიშვილთა ერთიანი კრიალოსნის შემადგენელი მარცვალია ჩვენი დაბის-სურამის მკვიდრი მიხეილ მურვანიშვილი, კაცი რომელმაც მთელი სიცოცხლე სამშობლოს ხვალინდელ დღეზე ზრუნვაში გალია. სამწუხაროა, ძალიან სამწუხაროა, რომ ფართო მასისათვის ეს სახელი იმ მასშტაბით არაა ცნობილი, როგორსაც იგი იმსახურებს.

მიხეილ მურვანიშვილი-კაცი, რომელსაც გულის ფიცარზე მხოლოდ ერთი სტყვა ჰქონდა ამოქარგული-სამშობლო; კაცი, რომლის ცხოვრების დევიზი და სამოქმედო პროგრამა ერთ სენტენციაში გამოიხატებოდა-სამშობლოსთვის ცოტა გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე; კაცი, რომელმაც უძვირფასესი და შეუფასებელი განძი აჩუქა საქართველოს-ათასობით ჰექტარი ტყე.

შორეულ 1875 წელს მოევლინა მიხეილ მურვანიშვილი ქვეყანას. გავლენიანი და შეძლებული თავადების ოჯახში დაბადებული ყმაწვილი იმ შთამომავლად მოიაზრებოდა, რომელიც სურამში და მის შემოგარენში მურვანიშვილთა უზარმაზარ მამულებს უნდა გაძღოლოდა. მისი ინტელექტის, განათლებისა და ცოდნის პატრონს ეს არც გაუჭირდებოდა, მაგრამ რუსულმა ინტერვენციამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქვეყნის სულს რუსულმა ჩექმამ დააბიჯა. მურვანიშვილების ოჯახს საბჭოთა წყობამ ყველაფერი წაართვა. მიხეილმა კარგად დაინახა, რომ დესპოტურ სახელმწიფოში სამშობლოს ადგილი ქრებოდა და მას ანგარება, ყალბი დიდება და რეჟიმის მონური სამსახური ენაცვლებოდა. ან რა სამშობლოზე შეიძლებოდა საუბარი, როდესაც წითელ ურჩხილს მთლიანად დიალექტიკური კანონზომიერების შეცვლა ჰქონდა განზრახული. აღარავინ უსმენდა მოძღვარს, სცენაზე მხოლოდ ჯამბაზები, სისხლიანი ჯამბაზები დარჩნენ, რომლებმაც სიმართლესა და თავისუფლებას სიკვდილი მიუსაჯეს.

შეეძლო, როგორ არ შეეძლო დაეტოვებინა ქვეყანა და სხვების მსგავსად საზღვარგარეთ გაქცეოდა რეჟიმს. იქ ალბათ კეთილდღეობას ნახავდა და თავისუფლებასაც, მაგრამ წამითაც არ გაუვლია ეს ფიქრი, რადგან მას არ შეეძლო სამშობლოს გარეშე სიცოცხლე. დარჩა. იცოდა, რომ ღრმა ორმოში იყო და ისეთი საქმეების კეთება დაიწყო, რომ ამ ღრმა და ბნელ ორმოდანაც შეძლო დაენახა ვარსკვლავებიანი ცა.

პირველი დაპირისპირება რუსულ რეჟიმთან ჯერ კიდევ საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო, როდესაც იგი მარტყოფის სატყეოს უფროსად მუშაობდა. იმ პერიოდში, რუსეთის იმპერიის მიწათმოქმედების მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც საქართველოდან რუსეთში უნდა გაზიდულიყო ხე-ტყე და ამასთან, ნებისმიერს ეძლეოდა ტყის გაჩეხვის უფლება. მიხეილმა პირველმა გამოთქვა პროტესტი და „ივერიაშიც“ გამოაქვეყნა წერილი, რომ ეს კატასტროფული იქნებოდა საქართველოს ბუნებისათვის და უდიდეს ზიანს მიაყენებდა მას. ეს არ აპატიეს და სასწრაფოდ გადაიყვანეს ლორეს სატყეოში რიგით მუშაკად, რაც მნიშვნელოვან ჩამოქვეითებას ნიშნავდა. ამ ამბავს თვით ილია ჭავჭავძე გამოეხმაურა და წერდა: ნეტავ რა ავმა ენამ დააშორა ეს სასარგებლო კაცი და ხალხის გულშემატკივარი სოფელსო...

გადის სულ რამდენიმე წელი და იწყება ის დიდი საქმენი, რომელიც ყოველდღიურობად იქცა მიხეილისათვის. საოცარია, ან როგორ აუდიოდა, ან რამ შეაძლებინა, რომ ამ ერთ კაცს ათასობით, უფრო მეტიც - ათიათასობით ჰექტარი ტყე გაეშენებინა და შთამომავლობისათვის დაეტოვებინა. მარტო ჩამონათვალი იწვევს გაოცებას, სადაც მის მირ სიცოცხლემინიჭებული ტყეები დღესაც აღტაცებას იწვევს მნახველში: მარტყოფი, ლორე, ყვარელი, საგარეჯო, აბასთუმანი, ბორჯომი, ბაკურიანი, წაღვერი, კეჩხობი, წყალტუბო, სურამი, ხაშური. მარტო ეს რა არის? მთელი მისი სიხარული შემოქმედებაში იყო, მისი შემოქმედება კი დღეს მწვანედ მობიბინე ტყეებია, რომელიც მაცოცხლებელი ჟანგბადით ავსებს მთელ ქვეყანას. ქმნიდა, დაუღალავად ქმნიდა, რადგან კარგად იცოდა, ვინც ქმნის, ის კლავს სიკვდილს. თუმცა, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლებოდა. ყველა ზემოთჩამოთვლილ დაბაში თუ სოფელში გაჰყავდა გზები, სასმელი წყალი, აშენებდა ბიბლიოთეკებს, სპორტულ მოედნებს, და, რაც მთავარია, აარსებდა დაწყებით კლასებს, რადგან კარგად იცოდა, უვიცობა და გაუნათლებლობა ყველა ბოროტობის მშობელია. ბიბლიოთეკებს თვითონ ამარაგებდა წიგნებით, თვითონ ყიდულობდა. ან თუ ვერ ახერხებდა, ადგილობრივ ხელისუფლებას პირდაპირ „ატერორებდა“, რომ ბიბლიოთეკებისათვის წიგნადი ფონდი გაემდიდრებინათ. კიდევ მეტი: მთელ კავკასიაში პირველმა მან დაარსა თესლის საშრობი ქარხანა, რომელიც აღჭურვა ევროპიდან შემოტანილი მანქანა-იარაღებით და ამით საფუძველი ჩაუყარა ტყის სათესლე მეურნეობას. სად არ იგზავნებოდა ეს თესლი - რუსეთში, სომხეთში, ახერბაიჯანში და ევროპის ათამდე ქვეყანაში.

ზემოთ გაკვრით ვახსენეთ კეჩხობი, წაღვერის ეს ულამაზესი კუთხე, ნამდვილი ოაზისი, როგორც კურორტი, მთლიანად მიხეილ მურვანიშვილმა შექმნა. მოშიშვლებული გორაკები წალკოტად აქცია და ათასობით თანამემამულეს მისცა იქ დასვენების საშუალება და მშვენიერებით ტკბობა.

ცალკე თემაა სურამი. დღეს თუ რამითაა სახელგანთქმული ჩვენი დაბა, ეს მისი ფიჭვნარის ტყე-პარკებია, ფიჭვნარის, რომელიც დიდი მიხეილის ქმნილებაა. დღესაც ბევრია თვითმხილველი, როგორ უვლიდა პაწაწინა ნერგებს და როგორ ეალერსებოდა თითოეულს, მასზე უკეთესდ ვინ იცოდა, რომ ამ თავისი შემოქმედების შედეგი 20-30 წლის შემდეგ „დადგებოდა“, 30 წლის შემდეგ მოიტანდა ნაყოფს. სწორედ ეს იყო მისი მიზანი -მომავალი საქართველოსათვის დაეტოვებინა უძვირფასესი განძი- გაშლილი ტყეები. მისი მოქმედება იმ ტკბილ ბაბუას ჰგავდა, ხეჭეჭურს რომ რგავდა და იცის მის ნაყოფს თვითონ რა, მხოლოდ შვილიშვილები თუ მოესწრებიან.

დიახ, ყველა სურამელი ვამაყობთ, რომ ამ მადლიანმა დაბამ ასეთი მამულიშვილი აჩუქა ქვეყანას. კაცი, რომელიც დაშვრა და დაილია მამულის სამსახურში, კაცი რომლის მთელი ცხოვრება მაგალითია იმისა თუ როგორი უნდა იყოს ერსკაცი და ჭეშმარიტი პატრიოტი. რა მოსატანია, მაგრამ ოდნავ გული გვწყდება, რომ გინესის რეკორდების წიგნში, სადაც ათასგვარი რეკორდია დაფიქსირებული, არავის მოსვლია აზრად, რომ იქ დიდი მიხეილისთვისაც გამონახულიყო ადგილი, რადგან გვეეჭვება, მსოფლიოში კიდევ მოიძებნებოდეს ვინმე, ვინც თავის სამშობლოს რამდენიმე მილიონი ხე დაურგო და გაახარა.

სურამის ულამაზეს უბანში - ბაიანთხევის ტყე-პარკში, თავისივე გაშენებულ, ცადაღმართული ფიჭვნარის შუაგულში ყოველწლიურად უამრავი მადლიერი სურამელი მიდის. მიდის მის საფლავთან, სადაც ეს ერისკაცი განისვენებს და თავს ხრიან მის საფლავთან. საფლავის გარშემო კი ისეა ფიჭვნარი განლაგებული, თითქოს თითოეული ხე ეფერება ამ საოცარ კაცს და მადლობას უხდის, რომ მასაც და მის მილიონობით თანამოძმესაც სიცოცხლე აჩუქა.

სურათზე: პრიზი გამარჯვერბულს მწერალთა კავშვრის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა გადასცა.

- ი უ ბ ი ლ ე -

ელეონორა ტაბატაძე - პედიატრი, რომელმაც მთელი ცხოვრება ბავშვთა ზრუნვას შეალია

ნებისმიერ ადამიანს, როდესაც იგი ამქვეყნად მოევლინება, უფალი თავის



როლს გამოუყოფს, როლს, რომელსაც, ერთგვარად, მის გენეტიკაში ჩატვირთავს და შემდეგ, ინდივიდმა მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეს როლი უნდა იტვირთოს. ძეცთომილად იქცევა ადამიანი, რომელიც უარს იტყვის ამ როლზე და სულ სხვა ამპლუაში დაიწყებს კეთილდღეობის ძებნას. ის კი, ვინც სრულად გაითავისებს უფლის ნებას, სრულყოფილად აითვისებს ამ როლის ანსა და ჰაეს, თვითონაც სრულყოფილი ხდება და უდიდესი სარგებელი მოაქვს გარშემომყოფთათვის და მთელი ქვეყნისთვისაც. აი, ასეთი ადამიანების ბიოგრაფია რომ ერთ სიტყვაში ჩავტიოთ, ყველაზე სრულყოფილად ერთი ეპითეტი ასახავს მათ ცხოვრებას - ღვაწლმოსილი.

დღეს, ჩვენს მკითხველს სწორედ ასეთი ღვაწლმოსილი ქალბატონი გვინდა წარვუდგინოთ. თუმცა, რა წარდგენაზეა საუბარი, როდესაც, დარწმუნებული ვართ, ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მას ისედაც კარგად იცნობს - ელიონორა ტაბატაძე.

შეუძლებელია, უფრო მეტიც, გამორიცხულიც კი გვგონია, რომ 60-70-80-იანი წლების თაობების ოჯახებში, სადაც თუნდაც ერთი ბავშვი მაინც დაბაჯბაჯებდა, მასთან შეხება არ ჰქონოდა. უმაღლესი კატეგორიის ექიმ-პედიატრმა, შეიძლება ითქვას, ბავშვებზე ზრუნვაში გალია რვაათეული წელი. არასოდეს არ ყოფილა მისთვის სამუშაო გრაფიკი რაღაც კონკრეტულ საათებში ჩატეული. პატარა პაციენტის სიცოცხლეს სჭირდებოდა? - ღამეებს გაუთენებდა სასთუმალთან. რომელი სოფლიდან არ აკითხავდნენ, ხაშურზე ხომ საუბარიც ზედმეტია. არც მეზობელი რაიონების ოჯახებისთვის ყოფილა მისი სახელი უცხო. არადა, ბევრჯერ მიფიქრია, როგორი უმაღლესი კატეგორიის პასუხისმგებლობაა, როდესაც პატარის ჯანმრთელობა, უფრო მეტიც, ზოგჯერ სიცოცხლეც კი გაბარია. არასოდეს არ გაქცევია ამ პასუხისმგებლობას. სჯეროდა თავის და სჯეროდა თავის პროფესიონალიზმის. ამ მხრივ კი მართლაც უზადო იყო. ერთი ისტორია მინდა გავიხსენო, რომლის შემსწრე პირადად ვარ და რომელშიც ნათლად ჩანს მისი, როგორც ექიმის

მაღალი პროფესიონალიზმი: 80-იანი წლებია, ჩვენს კოლეგას, ცნობილ ფოტოხელოვანს, მევლუდ სალაღაიას შვილი გაუხდა ავად. რა თქმა უნდა, ქალბატონ ელიონორას მიაკითხეს, პირველ რიგში. მან კი, გასინჯვისა და მცირე გამოკვლევების შემდეგ, ისეთი დიაგნოზი დასვა, რომელზეც ცნობილ წიგნებშიც კი უმცირესი ინფორმაცია იყო, რადგან მსგავსი დაავადება, პრაქტიკულად , ნახევარმილიონ ბავშვში შეიძლება ერთს აღმოჩენოდა. პატარა სასწრაფოდ წაიყვანეს თბილისში. თბილისელ პროფესორებს სიცილად არ ეყოთ ეს დიაგნოზი და აბსოლუტურად სხვა დიაგნოზით დაუწყეს მკურნალობა. ბავშვის მდგომარეობა უფრო დამძიმდა. აქ კვლავ ქალბატონი ელიონორა ჩაერია საქმეში და გაუმეორა ოჯახს, რომ მის დიაგნოზში ეჭვიც არც ეპარებოდა, მსგავსი დაავადების სპეციალიზებული კლინიკა კი მაშინდელ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ლენინგრადში იყო და ურჩია მათ, რომ ბავშვი სწორედ იქ წაეყვანათ. ახლა ლენინგრადელი ექიმები გადაირივნენ, როგორ, სადღაც „მივარდნილი პროვინციის“ ექიმი ასეთ დიაგნოზს როგორ დასვამდა, ეტყობა მწყრალად არის თავის პროფესიასთანო... მაგრამ, როდესაც სკრუპულუზური გამოკვლევების შემდეგ, ქალბატონი ელიონორას დიაგნოზი ერთი-ერთში დადასტურდა, მერე გენახათ მათი გაოცება, ამის შემდეგ კი სათანადო მკურნალობამ, სათანადო ეფექტიც მოიტანა. ეს ჩვენ მხოლოდ ერთი ეპიზოდი მოგიყევით მისი ბიოგრაფიიდან. ასეთები კი უამრავი იყო.

აი, ასეთი ადამიანები იდგნენ ჩვენი პატარების სიცოცხლის სადარაჯოზე. აი, ასეთი ადამიანების დამსახურებაა, რომ ჯანმრთელი თაობები დაუტოვეს ქვეყანას. (არადა, ღმერთო, დღემდე არ ამომდის გონებიდან, როდესაც ასეთი ადამიანების თაობა, ყოფილმა „კოლმეურნეობის თავმჯდომარემ“, შუქურად წოდებულმა, ისეთი ტერმინით მოიხსენია, რომ მათ უდიდეს ღვაწლს მთლიანად გადაუსვა ხაზი).

ნებისმიერი ქალბატონის ერთ-ერთი უდიდესი ღირსება მისი ოჯახია და ამ მხრივაც გამორჩეულია ჩვენი წერილის გმირი. მეუღლე - თემურ გოგალაძე, ისეთი კაცი იყო, აი, მის გვერდით ყოფნა რომ გიხარია და სულ ცდილობ, ასეთი დღეები ბევრი გქონდეს. მე, პირადად, იშვიათად მინახავს ასეთი ულევი და დახვეწილი იუმორის მქონე პიროვნება. სურამის ნამდვილი კოლორიტი იყო. მისი კალამბურები დღესაც ახსოვთ სურამში და დღესაც უდიდესი სიყვარულით იხსენებენ ამ საოცარ კაცს. სამწუხაროა, რომ იგი სრულიად ახალგაზრდა დააკლდა ოჯახს.

ყველაზე უდიდესი სიმდიდრე კი შვილებია ქალბატონი ელიონორასათვის. რომ იტყვიან, ერთმანეთზე უკეთესებიო, აი, ისეთი შვილები. სამ მათგანში დედის გენმა იმძლავრა და ექიმები არიან - თეა ნეფროლოგია და ბორჯომში მოღვაწეობს, ეთერის და ნიკას კი ჩვენს რაიონში კი არა, მთელ შიდა ქართლში და მესხეთ-ჯავახეთში იცნობენ, როგორც უმაღლესი დონის ფსიქიატრებს. აი, ნათია „განუდგა“ ოჯახურ ტრადიციას. სამაგიეროდ ის კომპიუტერული ტექნოლოგიების ნამდვილი დიდოსტატია და მგონი, ნახევარ ხაშურს შეასწავლა კომპიუტერის ანა-ბანა. ახლა ამათ დაუმატეთ შვიდი შვილიშვილი და ერთიც შვილთაშვილი და საბოლოო სახეს მივიღებთ ამ ულამაზესი ოჯახისას.

დღეს ქალბატონი ელიონორა იუბილარია. ჩვენი მკითხველის სახელით, ვულოცავთ ამ ღირსეულ ქალბატონს იუბილეს და სულის მხნეობას და ჯანმრთელობას ვუსურვებთ. გვჯერა, ის ღვაწლი და თავდადება, რაც მან ჩვენი რაიონისთვის და ათასობით პაციენტისთვის გასწია, არასოდეს, არასოდეს დაიკარგება.

გოგი გოგოლაძე

მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში

გუნდური პირველობა ვაჟთა შორის: პირველი ადგილი - ხაშური, მეორე ადგილი - იაპონია, მესამე ადგილი - საფრანგეთი

კამათი ყველაფერზე შეიძლება. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში იცოდნენ, რომ ჭეშმარიტება კამათში იბადება, თუმცა, გვიანდელი ხანის ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ, რომ კამათი სრულიად უაზრობაა, რადგან კამათის ბოლოს, ორივე მოდავე მხარე საბოლოოდ რწმუნდება თავისი აზრის აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში. რატომ დაგვჭირდა ასეთი „წიაღსვლა“? ახლახანს დამთავრებულ მსოფლიო ჩემპიონატში (ძიუდოში) საქართველომ ორი ოქროს მედალი მოიპოვა (პლიუს ვერცხლი და ბრინჯაო). ეს ორივე ოქრო კი ხაშურელი სპორტსმენების, ჩვენი დევგმირების ლუკა მაისურაძის და ტატო გრიგალაშვილის მონაპოვარია. მავანი ალბათ იკამათებს, როგორ შეიძლება საქართველო ქალაქის სახელით შეიცვალოსო... დიახ, რა თქმა უნდა, ოფიციალურ პროტოკოლებში ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ, აქაური რიგითი მოქალაქეები, ჩვენს სიამაყეს და ემოციას თუ სრულ გასაქანს მივცემთ, ვითომ რატომ არ შეიძლება? ვითომ გადაჭარბებულ ამბიციად ჩაგვეთვლება? კი, ამაშიც არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ ფაქტი? უტყუარი ფაქტი ხომ რკინაზე მტკიცეა? მოკლედ, ხაშურლებისათვის ერთია ჭეშმარიტება: მსოფლიო ჩემპიონატზე, ძიუდოში, ვაჟთა შორის გუნდურ ჩემპიონატზე ხაშურმა უკან მოიტოვა ძიუდოს დედა-სამშობლო იაპონია და ზედ ისეთი მსხვილი ქვეყნებიც მიაყოლა, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, აშშ და მისთანანი. სხვა „პატარა“ ქვეყნები ხომ ანგარიშში ჩასათვლელნი არც არიან. საერთოდ, ხომ არ უნდა დაფიქრდეს ძიუდოს მსოფლიო ფედერაცია, რომ ხაშურს

ცალკე გუნდად გამოსვლის საშუალება მისცეს? მე თქვენ გეტყვით და თავს შევირცხვენთ... არა, იაპონლები, ალბათ, უკვე ღრმად ფიქრობენ, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ეწვიონ ჩვენს ქალაქს და აქ ძიუდოს მასტერ-კლასები მიიღონ. თუ ასე იქნება, არც ჩვენ დავამადლით და ჩვენი ოქროს ბიჭები კი ასწავლიან რაღაც-რაღაცეებს ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს. ეს, დაახლოებით, იმის მსგავსი იქნება, იაპონელებმა რომ „ჩაკრულო“ შეგვისწორონ ან საცივის მომზადებაში გვამეცადინონ, მაგრამ სწორედ ამაშია მთელი ხიბლი, რომ ამ სოფისტური კამათის გამარჯვების პინა ჩვენსკენ იხრება.

კარგით, კარგით, თავი დავანებოთ ხუმრობებს (ვითომ?) და მივყვეთ ფაქტებს: საოცარი შედეგი და დიდი გამარჯვება - ასე შეფასდა საქართველოს ძიუდოს ნაკრების გამოსვლა დოჰაში. ფინალში ორ ოქროს, ვერცხლს და ბრინჯაოს შერეული გუნდური პირველობის ბრინჯაოც დაუმატეს და მთელი ერი გაახარეს. ამ სიხარულის მთავარი შემოქმედი კი ორი ხაშურელი ლომკაცი - ლუკა მაისურაძე და ტატო გრიგალაშვილი იყვნენ (ტატო დღეს ქარელის სახელით ასპარეზობს, მაგრამ ჩვენი ქალაქის მკიდრია და ეს ყველამ ვიცით).

დღეს ორივე, თავის წონებში მსოფლიო რეიტინგის პირველი ნომრები არიან. ტატო, საერთოდ, დღეის მდგომარეობით, მსოფლიოს ნომერ პირველ ძიუდოისტად სახელდება. მთავარი ღირსება ამ ორი ოქროს ბიჭისა მათი უბრალოებაა. რამდენი გვინახავს, როგორც დიდი კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „გააზნაურებული გლეხი“, რომელიც მამალ ბუზს აღარ ისვამს თავზე და ისე დაგყურებს „ზევიდან“ თითქოს ოლიმპოს მთაზე იყოს ღმერთებთან. ესენი კი სრულიად პირიქით - უცნობ კაცსაც კი ისე ჩაეხუტებიან, როგორც ახლობელს და მეგობარს. საოცრად კარგები, ღიმილიანები, იუმორით სავსენი - აი, ისეთები - მათ გვერდით ყოფნა რომ გიხარია კაცს. თქვენ გენაცვალეთ, ბიჭებო! თქვენს ქართულ გულს ვენაცვალე, თქვენს ქართულ ჯიშს ვენაცვალე, თქვენს ხაშურლობას ვენაცვალე! იმ დღეებში, ჩვენს ქალაქში, მხოლოდ ერთი თემა ტრიალებდა: დღეს ლუკა ჭიდაობს, დღეს ტატო ჭიდაობს... სხვა თემა, უბრალოდ, მეორეხარისხოვანი გახდა ქალაქში. მათი ოქროების შემდეგ კი რაღაცნაირი სხვანაირი გახდა ქალაქი. ორი ნაცნობის შეხვედრა მილოცვით იწყებოდა: გილოცავ ლუკას ჩემპიონობას!.. გილოცავ ტატოს ჩემპიონობას!.. მათი ჩემპიონობა მთლიანად „საკუთრებაში“ მიიღო ყველამ. იყო სიამაყის აპოთეოზი და ემოციის ოკეანე.

თქვენ გაიხარეთ, ბიჭებო! თქვენ უკვე მიიღეთ დამსახურებული საჩუქარი, რასაც ერის სიყვარული ჰქვია. ეს კი ისეთი განძია, რომელსაც ვერავითარი თვალ-მარგალიტი ვერ ჩაანაცვლებს. ღრმად გვწამს, უფრო დიდი ტრიუმფები ჯერ კიდევ წინაა. ბოლოსდაბოლოს, არც ოლიმპიადაა შორს და თუ ის ასრულდა, რასაც დღეს მთელი ხაშური ფიქრობს და ოცნებობს, მერე ნახეთ ქალაქის გადარევა და სიგიჟე. სიგიჟე როგორ უნდა ინატრო კაცმა, მაგრამ ეს სხვა სიგიჟე იქნება, აი, სიხარულის სიგიჟე რომ ჰქვია და თან ცრემლებიც რომ მოგდის ღაპა-ღუპით და ღმერთს მადლობას რომ წირავ ასეთი საჩუქრისთვის.

ჯერ კი ამ ტრიუმფს გილოცავთ, ბიჭებო! ვულოცავთ თქვენს ოჯახებს, თქვენს მწვრთნელებს, მთელ ხაშურს და მთელ ქვეყანას.

გკოცნით და გეფერებით, ლომკაცებო!

P.S. სოციალურ ქსელებში, წერილის დასაწყისში აღნიშნულ თემას, სადაც ხაშურმა იაპონიას გაუსწრო, ბევრი კალამბური მოჰყვა. ერთ-ერთი კი მართლაც სახალისო და ნიშანდობლივი იყო, სადაც ცნობილი სიმღერის ტექსტია ინტერპრეტირებული; „ტოკიოს ანძას ხომ ბეკმისა სჯობია, ჯანეტ!“ რატომაც არა?!

გოგი გოგოლაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.